პატრიშია ჰაისმითი

ნიჭიერი მისტერ რიპლი

დიდი ენციკლ
ბიბლიოთეკა

პატრიშია ჰაისმითი

ნიჭიერი მისტერ რიპლი

Patricia Highsmith
THE TALENTED MR RIPLEY

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

პროექტის ხელმძღვანელი: ნათია ღელეყვა
რედაქტორი: ლალი ქადაგიძე
დამკაბადონებელი: ნინო გურული
ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი
გარეკანზე გამოყენებულია ციფრული ხელოვნების სტუდია „რეროს“ მიერ შექმნილი ილუსტრაცია.

First published in 1955
© 1993 by Diogenes Verlag AG, Zurich
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-948-4

www.diogene.ge

1

ტომმა უკან მიიხედა, დაინახა, რომ ბარ „მწვანე გალიიდან“ გამოსული კაცი უახლოვდებოდა და ნაბიჯს აუჩქარა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კაცი სწორედ მას მოსდევდა. ხუთი წუთის წინ შენიშნა ეს კაცი, რომელიც მაგიდასთან იჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა, თითქოს ფიქრობდა, ვიცნობ თუ არაო. ისე დაჟინებით უყურებდა, რომ ტომმა სწრაფად გამოცალა ჭიქა, ფული გადაიხადა და წავიდა.

კუთხეში სირბილით გადაჭრა მეხუთე ავენიუ. იქვე ბარი „რაული“ ეგულებოდა. იქნებ შესულიყო და ცოტა კიდევ დაელია? საფრთხისთვის ყურადღება არ მიექცია? ან იქნებ პარკ-ავენიუზე გამსხლტარიყო, სადაც ბნელ სადარბაზოებში დამალვა შეიძლებოდა? ტომი ბარში შევიდა.

სანამ ბარის თავისუფალი ტაბურეტისკენ მიდიოდა, მიიხედ-მოიხედა, ვინმე ნაცნობი ხომ არ ზისო. ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდარი ჩასკვნილი წითურთმიანი მამაკაცი, რომელსაც ახალგაზრდა ქერა ქალი ახლდა, მიესალმა. ტომმაც ზანტად დაუქნია ხელი. ტაბურეტზე გვერდულად ჩამოჯდა. გამომწვევად, მაგრამ განზრახ დაუდევრად შეავლო თვალი კარს.

– ჯინი და ტონიკი, თუ შეიძლება, – მიმართა ბარმენს.

ეს კაცი გამოგზავნეს მის სათვალთვალოდ? თუ არა? პოლიციელს ან დეტექტივს კი არა, ბიზნესმენს, ოჯახის მამას ჰგავს. კოხტად ჩაცმული, ჩასუქებული, შევერცხლილი საფეთქლებით, ორჭოფული მზერით. სწორედ ასეთებს გზავნიან ხოლმე მსგავსი და-

ვალებების შესასრულებლად. ჯერ ბარში გაგესაუბრება, მერე უეცრად ხელს მხარზე დაგადებს, მეორე ხელით კი პოლიციელის ჟეტონს გიჩვენებს. „ტომ რიპლი, დაპატიმრებული ხართ!“. ტომი კარს თვალს არ აცილებდა.

აი, შემოვიდა. მიიხედ-მოიხედა, ტომი დაინახა და მაშინვე შეტრიალდა. ჩალის ქუდი მოიხადა და ბარის დახლის მომრგვალებულ კუთხესთან დაჯდა.

ღმერთო ჩემო, რა უნდა ამ კაცს? ჰომოსექსუალი ნამდვილად არააო, მეორედ გაიფიქრა ტომმა. გაწამებულმა ტვინმა ახლაღა იპოვა და უკარნახა ეს სიტყვა, რომელმაც თითქოს შვება აგრძნობინა, რადგან ტომს ერჩივნა, ეს კაცი ჰომოსექსუალი ყოფილიყო და არა პოლიციელი. ჰომოსექსუალს, უბრალოდ, ეტყოდა, არა, გმადლობთო და ღიმილით გაშორდებოდა. ტომი კვლავ ტაბურეტზე ჩამოჯდა და მხნეობა მოიკრიბა.

კაცმა ბარმენს ანიშნა, ჯერ არაფერი მინდაო და ტომისკენ გამოემართა. ტომი არ განძრეულა. ათ წელზე მეტს არ მომისჯიანო, გაიფიქრა. შეიძლება, თხუთმეტ წელსაც, მაგრამ თუ კარგად მოვიქცევი... როდესაც კაცმა ტუჩები აამოძრავა, ტომს საშინელი, მტანჯველი სინანულის გრძნობა დაეუფლა.

– უკაცრავად, თქვენ ტომ რიპლი ხართ?

– დიახ.

– ჰერბერტ გრინლიფი ვარ, რიჩარდ გრინლიფის მამა.

გრინლიფის სახის გამომეტყველებამ ტომი ისე გააკვირვა, თითქოს მისთვის უეცრად პისტოლეტი მიეშვირათ. გრინლიფი მეგობრულად იღიმებოდა და ტომი გამხნევდა.

– რიჩარდის მეგობარი ხართ, ხომ?

ტომს გონება ოდნავ გაუნათდა. დიკი გრინლიფი. მაღალი ქერათმიანი ყმაწვილი. ტომს გაახსენდა, რომ დიკის ყოველთვის უამრავი ფული ჰქონდა.

– ოჰ, დიკი გრინლიფი. დიახ.

– ჩარლზ და მარტა შრივერებსაც უნდა იცნობდეთ. მათ მიამბეს თქვენზე, იმაზე, რომ თქვენ... იქნებ მაგიდასთან დავსხდეთ?

– დავსხდეთ, – დაეთანხმა ტომი და თავისი ჭიქა აიღო. კაცს პატარა დარბაზის ბოლოსკენ, ცარიელი მაგიდისკენ გაჰყვა. განაჩენი გაუქმებულიაო, გაიფიქრა. თავისუფალია! მის დაპატიმრებას არავინ აპირებს. რაღაც სხვაშია საქმე. რაც უნდა იყოს, საქმე ქურდობას, საბუთების მოპარვას ან რამე ამგვარს არ ეხება. შესაძლოა, რიჩარდი რამე უსიამოვნო ამბავში გაეხვია და მისტერ გრინლიფს დახმარება ან რჩევა სჭირდება. ტომმა იცოდა, როგორ უნდა ელაპარაკა ასეთ მამებთან.

– დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ტომ რიპლი ხართ, – თქვა მისტერ გრინლიფმა. – მგონი, მხოლოდ ერთხელ მყავხართ ნანახი. გახსოვთ, რიჩარდთან ერთად რომ გვესტუმრეთ?

– დიახ, მახსოვს.

– შრივერებმა თქვენი გარეგნობა ამიწერეს. ყველანი ვცდილობდით თქვენს პოვნას, რადგან შრივერებს უნდოდათ, მათ სახლში შევხვედროდით ერთმანეთს. ვიღაცამ უთხრა, რომ დროდადრო „მწვანე გალიაში“ დადიხართ. ამ საღამოს პირველად ვცადე თქვენი მოძებნა და გიპოვეთ კიდეც.

მან გაიღიმა.

– გასულ კვირას წერილი გამოგიგზავნეთ, მაგრამ, მგონი, არ მიგიღიათ.

– არა.

მარკი წერილებს უმალავს. გაიძვერა! ალბათ, დეიდა დოტის გამოგზავნილი ჩეკიც მიითვისა.

– ერთი კვირის წინ საცხოვრებლად სხვაგან გადავედი, – დასძინა ტომმა.

– გასაგებია. იმ წერილში ყველაფერი არ დამიწერია, რის შეტყობინებაც მსურდა. მხოლოდ ის მოგწერეთ, რომ თქვენთან შეხვედრა და გასაუბრება მინდოდა. შრივერები დარწმუნებული არიან, რომ რიჩარდს კარგად იცნობდით.

– დიახ, მახსოვს ის.

– მაგრამ ერთმანეთს წერილებს არ სწერთ?

მისტერ გრინლიფს სახეზე იმედგაცრუება დაეტყო.

– არა. უკვე ორი წელია, დიკი არ მინახავს.

– ორი წელია, რაც დიკი ევროპაში იმყოფება. შრივერები დიდ პატივს გცემენ და ფიქრობენ, რომ შეიძლება, რიჩარდი შტატებში დაბრუნებაზე დაიყოლიოთ, თუ მისწერთ. მინდა, რომ დაბრუნდეს. აქ გარკვეული მოვალეობები აქვს, მაგრამ არც მე და არც დედამისს არაფერს გვიჯერებს.

ტომი გაოცდა.

– რაო, რა თქვეს შრივერებმა?

– თქვეს – შეიძლება, ცოტათი გააზვიადეს – რომ თქვენ და რიჩარდი ახლო მეგობრები ხართ. მგონი, დარწმუნებული არიან, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ხშირად სწერდით მას. საქმეა ისაა, რომ რიჩარდის არც ისე ბევრ მეგობარს ვიცნობ...

მან ტომის ჭიქას ისე შეხედა, თითქოს უნდოდა, შეეთავაზებინა, კიდევ დაისხითო, მაგრამ ჭიქა თითქმის სავსე იყო.

ტომს გაახსენდა, რომ შრივერებს დიკისთან ერთად ესტუმრა წვეულებაზე. შეიძლება, გრინლიფები შრივერებს ტომზე უკეთ იცნობდნენ. თვითონ მხოლოდ სამჯერ თუ ოთხჯერ შეხვდა მათ. ბოლოს, მგონი, ჩარლი შრივერს საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებაში დაეხმარა. ჩარლი ტელეკომპანიის დირექტორი იყო და სრულიად ვერ ერკვეოდა თავისი შტატგარეშე თანამშრომლების ფინანსურ ანგარიშებში. მან ტომი გენიოსად მიიჩნია, რომელმაც შეძლო, გაცილებით ნაკლები შემოსავალი გამოეთვალა, ვიდრე ჩარლის ეგონა და ამის წყალობით გადასახადის ოდენობა შეემცირებინა ისე, რომ კანონი არ დაერღვია. შეიძლება, სწორედ ამიტომ დაუხასიათა ჩარლიმ მისტერ გრინლიფს ტომი, როგორც შესანიშნავი სპეციალისტი. ის საღამო გაიხსენა და, როგორც ჩანს, მისტერ გრინლიფს უთხრა, როგორი ჭკვიანი, გონიერი, ზედმიწევნით პატიოსანი ყმაწვილი იყო ტომი, რომელიც ყოველთვის მზად იყო, დახმარებოდა სხვებს, რაც არც ისე შეესაბამებოდა სიმართლეს.

– შეიძლება, იცნობთ რიჩარდის რომელიმე მეგობარს, რომელიც მასზე სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს? – ხვეწნით ჰკითხა მისტერ გრინლიფმა.

ტომს ბადი ლენკენაუ გაახსენდა, მაგრამ არ უნდოდა, ბადი ამ საქმეში გაეხვია.

– სამწუხაროდ, არავის ვიცნობ, – თქვა ტომმა და თავი გააქნია. – რატომ არ უნდა რიჩარდს შინ დაბრუნება?

– ამბობს, ევროპაში ყოფნა მირჩევნიაო. დედამისი კი მძიმედაა ავად... აღარ გავაგრძელებ, ეს ოჯახური პრობლემებია. მაპატიეთ, რომ ასე გაბეზრებთ თავს, – და მისტერ გრინლიფმა ნერვიულად გადაისვა ხელი თავის მეჩხერ, კოხტად დავარცხნილ ჭაღარა თმაზე. – ამბობს, ვხატავო. ეს ურიგო არ არის, მაგრამ რიჩარდს ხატვის ნიჭი არა აქვს, იახტების პროექტირებას კი ნამდვილად შეძლებს, საქმეს სერიოზულად რომ მიუდგეს.

როდესაც ოფიციანტი მიუახლოვდა, მან თვალები ასწია.

– ვისკი სოდით, თუ შეიძლება. თქვენც ხომ დალევთ?

– არა, გმადლობთ.

მისტერ გრინლიფი მორიდებით უყურებდა ტომს.

– რიჩარდის პირველი მეგობარი ხართ, ვინც მომისმინა. დანარჩენები ფიქრობენ, რომ მის ცხოვრებაში არ უნდა ჩავერიო.

ტომი ხვდებოდა, რატომ იყო ასე.

– გულით მინდა, დაგეხმაროთ, – თავაზიანად თქვა მან.

ახლა გაახსენდა, რომ დიკის შემოსავლის წყარო გემთმშენებელი კომპანია იყო, სადაც მომცრო იახტებს აგებდნენ. რა თქმა უნდა, მამას უნდოდა, რომ ვაჟი შინ დაბრუნებულიყო და ფირმას ჩასდგომოდა სათავეში. ტომმა მისტერ გრინლიფს გაუღიმა – ისე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე – და ჭიქა გამოცალა. სკამის კიდეზე იჯდა და წასასვლელად მზად იყო, თუმცა თითქმის ფიზიკურად გრძნობდა თანამოსაუბრის იმედგაცრუებას,

– ევროპაში სად ცხოვრობს? – იკითხა, თუმცა ეს სულაც არ ადარდებდა.

– ქალაქ მონჯიბელოში, ნეაპოლის სამხრეთით. მითხრა, იქ ბიბლიოთეკაც კი არ არისო. ხან საიალქნო სპორტით ერთობა, ხან კი ფერწერით. იქ სახლი იყიდა. რიჩარდს საკუთარი შემოსავალი აქვს. შემოსავალი არც ისე დიდია, მაგრამ, როგორც ჩანს, იტალიაში საცხოვ-

რებლად საკმარისია. ყველას თავისი გემოვნება აქვს, მაგრამ პირადად მე იქ ცხოვრება სიამოვნებას არ მომანიჭებდა, – მისტერ გრინლიფმა ფართოდ გაიღიმა. – იქნებ რამე დალიოთ, მისტერ რიპლი? – იკითხა, როდესაც ოფიციანტმა ვისკი და სოდიანი წყალი მოიტანა.

ტომს წასვლა უნდოდა, მაგრამ როგორ დაეტოვებინა ეს კაცი მარტოდმარტო, თავის ჭიქასთან ერთად?

– გმადლობთ, დავლევ, – თქვა მან და ოფიციანტს თავისი ჭიქა გაუწოდა.

– ჩარლი შრივერმა მითხრა, რომ სადაზღვევო უწყებაში მუშაობთ, – თქვა მისტერ გრინლიფმა, რომელსაც გუნება გამოუკეთდა.

– უწინ მართლაც იქ ვმუშაობდი. მე... – ტომს სულაც არ უნდოდა, ეთქვა, ახლა საგადასახადო უწყებაში ვმუშაობო. ყოველ შემთხვევაში, ახლა არ უნდოდა. – ამჟამად სარეკლამო სააგენტოს ბუღალტერიაში ვმუშაობ.

– მართლა?

ერთი წუთით ორივენი დადუმდნენ. მისტერ გრინლიფი საწყალობლად, ხვეწნით უყურებდა ტომს. რის თქმა სურდა? ტომი ნანობდა, რომ დარჩა და დალევას დათანხმდა.

– ჰო, მართლა, რამდენი წლისაა დიკი ახლა? – იკითხა მან.

– ოცდახუთის.

ისევე, როგორც მე, გაიფიქრა ტომმა. ალბათ, დიკი იტალიაში განცხრომით ცხოვრობს. ფული, სახლი, იახტა. განა რისთვის უნდა დაბრუნებულიყო? მისი სახე სულ უფრო მკაფიოდ ახსენდებოდა: ფართო ღიმილი, ხვეული ქერა თმა, უდარდელი გამომეტყველება. იღბლიანი ყმაწვილი იყო. თვითონ ტომი როგორ ცხოვრობდა ოცდახუთი წლის ასაკში? ხელფასიდან ხელფასამდე ძლივს გაჰქონდა თავი. ბანკში ანგარიში არ ჰქონდა გახსნილი. ცხოვრებაში პირველად ცდილობდა, პოლიციელებს ხელთ არ ჩავარდნოდა. ოდესღაც მათემატიკისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. რატომ არ გამოიყენა ეს ნიჭი პრაქტიკულ ცხოვრებაში? ტომმა იგრძნო, როგორ დაეძაბა კუნთები. ხელის თითები ნერვიულად მოისრისა, როგორ მობეზრდა ყველაფერი ეს! მობეზრდა, მობეზრდა! ჯობდა, ბარის დახლთან მარტო მჯდარიყო.

ტომმა სასმელი გადაკრა.

– სიამოვნებით მივწერ დიკის, თუ მის მისამართს მომცემთ, – სწრაფად თქვა მან. – იმედი მაქვს, არ დავვიწყებივარ. მახსოვს, ერთხელ უიკენდი ერთად გავატარეთ ლონგ-აილენდზე. ყველამ შეგროვილი მიდიებით ვისაუზმეთ, – ტომს გაეღიმა. – რამდენიმე ჩვენგანი შეუძლოდ გახდა. დრო მაინცდამაინც კარგად ვერ გავატარეთ. მახსოვს, დიკიმ იმ უიკენდის დროს მითხრა, ევროპაში გამგზავრებას ვაპირებო. მგონი, მალევე გაემგზავრა...

– ზუსტად ასეა! – წამოიძახა მისტერ გრინლიფმა. – ეს ბოლო უიკენდი იყო, რომელიც რიჩარდმა სამშობლოში გაატარა. მიდიებზეც მიამბო, – მან ხმამაღლა გაიცინა.

– თქვენს სახლში რამდენჯერმე ვიყავი, – განაგრძო ტომმა, რომელიც მოგონებებს მიეცა. – დიკიმ გემების რამდენიმე მოდელი მიჩვენა, რომლებიც მის მაგიდაზე ეწყო.

– ეს ბავშვური გატაცება იყო! – გაიღიმა მისტერ გრინლიფმა. – თავისი ესკიზები გაჩვენათ? ან ნახაზები?

დიკის მსგავსი არაფერი უჩვენებია, მაგრამ ტომმა ხალისით დაუკრა კვერი.

– რა თქმა უნდა, მაჩვენა. კალმით იყო დახაზული. ზოგი მართლაც შესანიშნავი იყო!

ტომს ისინი არასოდეს უნახავს, მაგრამ ახლა ნათლად წარმოედგინა დეტალური ნახაზები, რომლებზეც თითოეული ქანჩი, თითოეული ჭანჭიკი იყო მონიშნული. ხედავდა, როგორ აჩვენებდა მათ დიკი ღიმილით. შეეძლო, კიდევ რამდენიმე წუთით გაეხანგრძლივებინა სიამოვნება მისტერ გრინლიფისთვის იმის წყალობით, რომ დაწვრილებით აეწერა ნახაზები, მაგრამ თავი შეიკავა.

– ჰო, რიჩარდი მართლაც კარგად ხაზავდა, – თქვა სახეგაბრწყინებულმა მისტერ გრინლიფმა.

– რა თქმა უნდა, – დაეთანხმა ტომი, რომელსაც კიდევ უფრო მოსწყინდა. ეს მდგომარეობა მისთვის ნაცნობი იყო. ზოგჯერ წვეულებებზე სწყინდებოდა, უფრო ხშირად მაშინ, როდესაც იმ ადამიანებთან ერთად სადილობდა, ვისთან სადილობაც არ ეპიტნავებოდა,

საღამო კი სულ უფრო ჭიანურდებოდა. ახლა შეეძლო, კიდევ ერთი საათის განმავლობაში ელაყბა, მაგრამ იცოდა, რომ შემდეგ მასში რაღაც იფეთქებდა და აიძულებდა, გარეთ გავარდნილიყო.

– სამწუხაროდ, ახლა თავისუფალი დრო არა მაქვს, თორემ სიამოვნებით გავემგზავრებოდი რიჩარდთან და მის დაყოლიებას შევეცდებოდი. იქნებ რამე გამომსვლოდა კიდეც, – თქვა ტომმა მხოლოდ იმიტომ, რომ მისტერ გრინლიფი მისგან ამ სიტყვების თქმას მოელოდა.

– თუ მართლაც ასე ფიქრობთ... თუ მართლაც აპირებდით ევროპაში გამგზავრებას...

– არა, არ ვაპირებდი.

– რიჩარდი ყოველთვის ითვალისწინებდა თავისი მეგობრების შეხედულებებს. თუ თქვენ ან მისი რომელიმე სხვა ნაცნობი შვებულების აღებას შეძლებს, შემიძლია, მისი მგზავრობა დავაფინანსო, რათა რიჩარდი გონს მოიყვანოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს უკეთესი იქნება, ვიდრე ჩემი წასვლა იტალიაში. თქვენ ვერაფრით შეძლებთ შვებულების აღებას?

ტომს გული შეუქანდა. ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ცდილობდა, მისტერ გრინლიფის შეთავაზება აეწონ-დაეწონა. სანამ გონებით გაიაზრებდა, ინტუიციით იგრძნო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ელოდა. უმუშევარი იყო. ასე იქნებოდა თუ ისე, მალე აქაურობის დატოვება მოუწევდა. ძალიან უნდოდა ნიუ-იორკიდან წასვლა.

– შევძლებ, – თქვა მან ფრთხილად, ყოყმანით, თითქოს უამრავი დაბრკოლება უნდა გადაელახა.

– თუ დათანხმდებით, რა თქმა უნდა, სიამოვნებით გადავიხდი საჭირო თანხას. მართლა შეძლებთ გამგზავრებას? მაგალითად, შემოდგომაზე?

ახლა უკვე სექტემბრის შუა რიცხვები იყო. მისტერ გრინლიფის ნეკა თითზე ოქროს ბეჭედი ბრწყინავდა. მასზე ამოტვიფრული გერბი თითქმის წაშლილიყო. ტომი ბეჭედს თვალს არ აცილებდა.

– ალბათ, შევძლებ. სიამოვნებით ვნახავ რიჩარდს. მით უმეტეს, თუკი ფიქრობთ, რომ მას რამით დავეხმარები.

– ნამდვილად ასე ვფიქრობ! აუცილებლად გაითვალისწინებს თქვენს რჩევებს. თანაც, არც ისე ახლო მეგობარი ხართ... თუ პირდაპირ ეტყვით, რატომ უნდა დაბრუნდეს სამშობლოში, ეცოდინება, რომ არავითარი პირადი ინტერესი არ გამოძრავებთ.

მისტერ გრინლიფი სკამის საზურგეს მიეყრდნო და კმაყოფილებით უმზერდა ტომს.

– სასაცილოა, რომ ჯიმ ბერკი და მისი ცოლი – ჯიმი ჩემი პარტნიორია – შარშან მოგზაურობისას ეწვივნენ მონჯიბელოს. რიჩარდი დაჰპირდა, რომ შინ ზამთრის დასაწყისში დაბრუნდებოდა. გასული ზამთრის. ჯიმმა მასზე ხელი ჩაიქნია. განა ოცდახუთი წლის ახალგაზრდა დაუჯერებს სამოცი წლის ბერიკაცს? იქნებ ის შეძლოთ, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ.

– იმედი მაქვს, ასეც იქნება, – თავმდაბლად თქვა ტომმა.

– კიდევ ხომ არ დალევთ? იქნებ კარგი ბრენდი გნებავთ?

2

შუაღამეს გადაცილებული იყო, როდესაც ტომი შინისკენ გაეშურა. მისტერ გრინლიფმა შესთავაზა, ტაქსით მიგიყვანთო, მაგრამ ტომმა არ მოინდომა – რცხვენოდა, რომ ყავისფერი ქვის ბინძურ სახლში ცხოვრობდა, მესამე და მეოთხე ქუჩებს შორის, სადაც გამოკიდული იყო განცხადება: „ქირავდება“. უკანასკნელი ორ-ნახევარი კვირის განმავლობაში ტომი ბინას ბობ დელენსისთან ერთად ქირაობდა. ამ ახალგაზრდა კაცს თითქმის არ იცნობდა, მაგრამ ბობი ერთადერთი იყო ტომის ნაცნობ-მეგობრებს შორის, ვინც შესთავაზა, ბინას გიპოვიო, როცა ტომს ღამის გასათევი ადგილი არ ეგულებოდა. ტომი არასოდეს პატიჟებდა თავის მეგობრებს ბობთან და არც არავის ეუბნებოდა, სად ცხოვრობდა. ბობის ბინაში ცხოვრების მთავარი უპირატესობა ის იყო, რომ აქ თავისუფლად შეიძლებოდა წერილების მიღება ჯორჯ მაკალპინის სახელზე და ამის შესახებ არავინ იცოდა. მაგრამ ეს მყრალი საპირფარეშო, რომლის კარი არ იკეტებოდა, ეს ჭუჭყიანი ოთახი, თითქოს მასში ათასმა სხვადასხვა ადამიანმა იცხოვრა და თავი არ შეუწუხებია მისი დალაგებითო, „ვოგისა“ და „ჰარპერს ბაზარის“ მაღალი დასტები, რომლებიც სადაცაა ძირს დაიყრებოდა, ეს მტვრიანი ლარნაკები, რომლებიც ძაფის გორგლებით, ფანქრებით, ნამწვებითა და დამპალი ხილით იყო სავსე! ბობი დროდადრო უნივერსალური მაღაზიების ვიტრინებს აფორმებდა, მაგრამ ახლა ერთადერთი სამუშაო, რომელსაც ასრულებდა, ანტიკვარული მაღაზიების შემთხვევითი შეკვეთები იყო მესამე ავენიუზე. ერთ-ერთი ასეთი მა-

ღაზიის მეპატრონემ გასამრჯელოს ნაცვლად ეს ლარნაკები მისცა. ტომს აღიზიანებდა ეს სიბინძურე, აღიზიანებდა იმის გამოც, რომ იცოდა: მისი ბევრი ნაცნობი ასე ცხოვრობდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ აქ დიდხანს არ იცხოვრებდა. და სწორედ ამ დროს გამოჩნდა მისტერ გრინლიფი. ადრე თუ გვიან ყოველთვის გამოჩნდება ვინმე. ტომის ფილოსოფიის არსი სწორედ ეს იყო.

სანამ ყავისფერ საფეხურებზე ავიდოდა, ტომი შეჩერდა და გაფაციცებით მიიხედ-მოიხედა. არავინ ჩანდა, გარდა დედაბრისა, რომელიც ძაღლს ასეირნებდა და მოხუცი კაცისა, რომელმაც მესამე ავენიუს კუთხიდან შემოუხვია. ტომს ყველაზე მეტად სძულდა შეგრძნება, რომ უთვალთვალებდნენ. ბოლო დროს ეს შეგრძნება გამუდმებით აწუხებდა. მან კიბე აირბინა.

ეს სიბინძურე ახლა განსაკუთრებით ამაზრზენიაო, გაიფიქრა, როდესაც ოთახში შევიდა. პასპორტს მიიღებს და ევროპაში გაემგზავრება, ალბათ, პირველი კლასის კაიუტით. ღილაკს თითს დააჭერს და ოფიციანტები ნებისმიერ კერძს მოუტანენ. ვახშმობის წინ კოხტად ჩაიცვამს, ვეება სასადილო ოთახში შევა, მაგიდასთან მსხდომ ადამიანებს ჯენტლმენივით გაუბამს მასლაათს. დღევანდელი საღამო მართლაც მოსალოცია. ძალზე კარგად იქცეოდა. მისტერ გრინლიფი ვერ იფიქრებს, რომ ტომმა ეშმაკურად უბიძგა მას, ევროპაში გაეგზავნა. მაგრამ მისტერ გრინლიფს არ დააღალატებს. ყველაფერს იღონებს, რომ დიკი დაიყოლიოს. მისტერ გრინლიფი თვითონაც ისეთი ღირსეული კაცი იყო, რომ ეჭვი არ ეპარებოდა სხვა ადამიანების ღირსებაში. ტომს კი თითქმის აღარც ახსოვდა, რომ ასეთი ადამიანები არსებობდნენ.

მან აუჩქარებლად გაიხადა პიჯაკი და ჰალსტუხი მოიხსნა. თავის ყოველ მოძრაობას ისე ადევნებდა თვალს, თითქოს ვიღაც სხვას აკვირდებოდა. საოცარია, როგორ გამართულად იდგა, როგორ შეცვლილიყო მისი სახის გამომეტყველება. საკუთარი თავით კმაყოფილი იყო, რაც მის ცხოვრებაში არც ისე ხშირად ხდებოდა. ბობის ტანსაცმლით გამოტენილ კარადაში ხელი შეყო და საკიდრები უხეშად გასწი-გამოსწია, რათა თავისი კოსტიუმისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა. შემდეგ სააბაზანოში შევიდა. ძველი დაჟანგული

საშხაპიდან ერთი ჭავლი ფარდისკენ იღვრებოდა, მეორე კი ისეთი უჩვეულო სპირალით მოედინებოდა, რომ ტომმა გაჭირვებით შეძლო ამ ჭავლით სხეული დაებანა, თუმცა ეს ჯობდა, ვიდრე ჭუჭყიან აბაზანაში ჯდომა. მეორე დილას ოთახში მარტოს გაეღვიძა – ბობი არსად ჩანდა და ტომი მიხვდა, რომ ის შინ არ დაბრუნებულიყო. საწოლიდან წამოხტა, ორსანთურიან ქურასთან მივიდა და ყავა დადგა. კარგი იყო, რომ ამ დილას ბობი შინ არ იმყოფებოდა. ტომს არ უნდოდა, მისთვის ევროპაში გამგზავრების ამბავი ეთქვა. ამ ქეციანი მაწანწალისთვის მთავარი მხოლოდ მუქთად მგზავრობა იქნებოდა. ალბათ, ედ მარტინისთვისაც, ბერტ ვისერისთვისაც და სხვა მეგობრებისთვისაც. არავისთვის არაფერი არ უნდა გაენდო, არავის არ უნდა გაეცილებინა. ტომმა სტვენა დაიწყო. დღეს ის პარკ-ავენიუზე გრინლიფების სახლში ვახშამზე იყო დაპატიჟებული.

ბანაობასა და პირის გაპარსვას თხუთმეტი წუთი მოანდომა. შემდეგ კოსტიუმი ჩაიცვა და ზოლებიანი ჰალსტუხი გაიკეთა, რომელიც საპასპორტო ფოტოსურათზე ლამაზად უნდა გამოჩენილიყო და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. ყავის ფინჯანი ეჭირა და დილის გაზეთებს ელოდებოდა. როდესაც დილის გაზეთებს მოიტანენ, „რეიდიო სიტიში“ წავა და პასპორტს გააფორმებს. დღისით რა უნდა აკეთოს? სამხატვრო გამოფენას ხომ არ ეწვიოს, რათა საღამოს თავისი შთაბეჭდილებები გრინლიფებს გაუზიაროს? კომპანია „ბერკ-გრინლიფ უოტერ-კრაფტ ინკორპორეიტედის“ შესახებ ცნობები შეაგროვოს და მისტერ გრინლიფი მიახვედროს, რომ მისი საქმიანობით დაინტერესებულია?

ღია ფანჯრიდან მოისმა, როგორ გაჯახუნდა საფოსტო ყუთის ხუფი. ტომი ქვევით ჩავიდა. დაიცადა, სანამ ფოსტალიონი საფეხურებს ჩაივლიდა და გაუჩინარდებოდა, შემდეგ კი ჯორჯ მაკალპინის სახელზე გამოგზავნილი წერილი გამოიღო ყუთიდან და კონვერტი გახსნა. კონვერტში იდო ჩეკი ას ცხრამეტ დოლარსა და ორმოცდათოთხმეტ ცენტზე, რომელიც გადასახადების ამკრეფს უნდა გაენაღდებინა. ყოჩაღ, მისის ედიტ უ. სუპერო! ყოველგვარი წუწუნის გარეშე გადაიხადა, არც კი დაურეკავს. ეს კეთილის მომასწავებელი ნიშანია. ტომი ისევ ზევით ავიდა, კონვერტი დახია და ნაფლეთები სანაგვე კალათაში ჩაყარა.

ჩეკი კონვერტში ჩადო, რომელიც კარადაში დაკიდებული ერთ-ერთი თავისი პიჯაკის შიდა ჯიბეში შეინახა და გამოითვალა, რომ ათას რვაას სამოცდასამი დოლარისა და თოთხმეტი ცენტის ღირებულების ჩეკები ჰქონდა. დასანანია, რომ მათი განაღდება არ შეუძლია. დასანანია, რომ არ მოიძებნა იდიოტი, რომელიც ნაღდ ფულს გადაიხდიდა. დასანანია, რომ აქამდე არავის გამოუწერია ჩეკი ჯორჯ მაკალპინის სახელზე. ტომმა სადღაც იპოვა ბანკის შიკრიკის პირადობის ვადაგასული მოწმობა, რომელშიც თარიღის გადაკეთება შეიძლებოდა. მაგრამ შიშობდა, რომ ამ მოწმობით ჩეკის განაღდებას ვერ შეძლებდა, თუნდაც ყალბი მინდობილობა დაერთო ნებისმიერ თანხაზე. ამიტომ მთელი ეს ჩანაფიქრი სინამდვილეში ფუჭი იყო. მხოლოდ თავშესაქცევი ფანდი. ფული არავისთვის მოუპარავს. სანამ ევროპაში წავალ, ჩეკები უნდა გავანადგუროო, გაიფიქრა.

მის სიაში კიდევ შვიდი პოტენციური კლიენტი იყო. განა კიდევ ერთს არ უნდა გამოაწერინოს ჩეკი გამგზავრებამდე დარჩენილი ათი დღის განმავლობაში? წუხელ, როცა მისტერ გრინლიფთან შეხვედრის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, ტომმა გაიფიქრა, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, თუ მისის სუპერო და კარლოს დე სევილია ფულს გადამიხდიანო. მისტერ სევილიას ჯერჯერობით არაფერი გადაუხდია – მკაცრად უნდა დაველაპარაკო ტელეფონით, დავაშინოო, გაიფიქრა მან. მისის სუპეროსთან ეს ფანდი ისე ადვილად გამოუვიდა, რომ მოუნდა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი.

ტომმა კარადაში შენახული ჩემოდნიდან იისფერი საწერი ნაკრები ამოიღო. კოლოფში ქაღალდის ფურცლები ეწყო, მათ ქვემოთ კი – იმ საგადასახადო უწყების ბლანკები, რომლის საწყობშიც რამდენიმე კვირის წინ მუშაობდა. ბლანკების ქვეშ იდო პოტენციური კლიენტების სია – საგანგებოდ შერჩეული ადამიანების ჩამონათვალი, რომლებიც ბრონქსში ან ბრუკლინში ცხოვრობდნენ და სულაც არ სურდათ, სწვეოდნენ ოფისს ნიუ-იორკში. ესენი იყვნენ მხატვრები, მწერლები, თავისუფალი პროფესიების ადამიანები, რომლებიც ხელფასიდან დაქვითულ საშემოსავლო გადასახადებს არ იხდიდნენ და წელიწადში შვიდიდან თორმეტი ათასამდე დოლარის შემოსავალი

ჰქონდათ. ტომის ვარაუდით, ისინი სპეციალისტებს არ ქირაობდნენ თავიანთი გადასახადების გამოსათვლელად. და თან იმდენ ფულს შოულობდნენ, რომ ადვილად შეიძლებოდა მათი დადანაშაულება იმაში, რომ გადასახადების დაანგარიშებისას ორას-სამას დოლარში შეცდნენ. მათ შორის იყვნენ უილიამ ჯ. სლეტერერი, ჟურნალისტი; ფილიპ რობიიარი, მუსიკოსი; ფრიდა ჰენი, მხატვარი-დეკორატორი; ჯოზეფ ჯ. ჯენერი, ფოტოგრაფი; ფრედერიკ რედინგტონი, მხატვარი; ფრენსის კარნეგისი... ტომმა გადაწყვიტა, რედინგტონზე შეჩერებულიყო, რომელიც კომიქსებს ხატავდა და, ალბათ, წარმოდგენა არ ჰქონდა თავის შემოსავალ-გასავალზე.

ტომმა აიღო ორი ბლანკი „შეტყობინება გადასახადების გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომების შესახებ“, მათ შორის პირის გადასაღები ქაღალდი ჩადო და სწრაფად გადაწერა თავისი სიიდან ის მონაცემები, რომლებიც რედინგტონის გვარის ქვეშ იყო მითითებული. შემოსავალი: 11250 დოლარი. შეღავათები გადასახადებისგან: 1. დაქვითვა: 600 დოლარი. კრედიტები: არა. ფულადი ჩარიცხვები: არა. პროცენტი (ტომი წუთით ჩაფიქრდა): 2,16 დოლარი. ბალანსი: 233,76 დოლარი. შემდეგ აიღო ქაღალდი, რომელზეც მითითებული იყო უწყების მისამართი: ლექსინგტონ-ავენიუ, მისამართს ირიბად გადაუსვა ხაზი და ქვემოთ დაბეჭდა:

„ძვირფასო სერ!

იმის გამო, რომ ჩვენი ოფისი ლექსინგტონ-ავენიუზე გადატვირთულია კორესპონდენციით, გთხოვთ, პასუხი გამოგზავნოთ მისამართზე:

გადასახადების კონტროლის უწყების ფილიალი

ჯორჯ მაკალპინისთვის.

187 E. 51-ე ქუჩა, ნიუ-იორკი 22. ნიუ-იორკი

გმადლობთ.

რალფ ფ. ფიშერი, გადასახადების კონტროლის უწყების გენერალური დირექტორი“

ქვემოთ ტომმა გაურკვევლად, გაკრულად მოაწერა ხელი. დანარჩენი ბლანკები შეინახა, რომ ოთახში მოულოდნელად შემოსულ ბობს არ ენახა და ყურმილი აიღო. გადაწყვიტა, მისტერ რედინგტონისთვის ებიძგებინა. ცნობათა ბიუროში მისტერ რედინგტონის ნომერი შეიტყო და დაურეკა. ის შინ დახვდა. ტომმა ვითარება მოკლედ განუმარტა და გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ მისტერ რედინგტონს აქამდე არ მიეღო შეტყობინება გადასახადების კონტროლის უწყებიდან.

– რამდენიმე დღის წინ უნდა მიგეღოთ, – უთხრა ტომმა. – ხვალ უეჭველად მიიღებთ. გვეჩქარება.

– კი, მაგრამ გადასახადი გადავიხადე, – გაისმა შეშფოთებული ხმა. – მე...

– ასეთი რამ ხდება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანები არსად მსახურობენ და გადასახადები ხელფასებიდან არ ექვითებათ. ყურადღებით გავეცანით თქვენს დეკლარაციას, მისტერ რედინგტონ. არ შევმცდარვართ. და არ გვინდა, ვალის გადახდამდე ყადაღა დავადოთ ოფისს, რომლისთვისაც მუშაობთ, ან თქვენი აგენტის ქონებას ან სხვა რამეს... – აქ ტომმა გაიცინა. კეთილგანწყობილი სიცილი, ჩვეულებრივ, სასწაულებს ახდენს. – მაგრამ იძულებული ვიქნებით, ასე მოვიქცეთ, თუ ორმოცდრვა საათის განმავლობაში ვალს არ დაფარავთ. სამწუხაროა, რომ შეტყობინება ჯერ არ მიგიღიათ. როგორც უკვე გითხარით, ჩვენ საკმაოდ...

– შევძლებ ვინმესთან დალაპარაკებას, თქვენთან რომ მოვიდე? – იკითხა აღელვებულმა მისტერ რედინგტონმა. – თანხა ძალზე დიდია!

– რა თქმა უნდა, შეძლებთ.

ტომი ამგვარ წუთებში ყოველთვის გულითადი კილოთი ლაპარაკობდა, თითქოს სამოცი წლის ახირებული ბერიკაცი ყოფილიყოს, რომელიც მოთმინებით დაელაპარაკებოდა მისტერ რედინგტონს ოფისში, მაგრამ, მისტერ რედინგტონის განმარტებების მიუხედავად, არც ერთ ცენტს არ დაუთმობდა. ჯორჯ მაკალპინი ხომ ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო უწყების წარმომადგენელი გახლდათ.

– რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, დამელაპარაკოთ, – დინჯად თქვა ტომმა. – მაგრამ, მისტერ რედინგტონ, არავითარი შეცდომა არ

დაგვიშვია. უბრალოდ, გირჩევთ, დრო დაზოგოთ. თუ გსურთ, შეგიძლიათ, შემოიაროთ ჩვენთან, მაგრამ ყველა თქვენი საბუთი ხელთ მაქვს.

დუმილი. მისტერ რედიგტონი არ აპირებდა, რამე ეკითხა საბუთებზე. როგორც ჩანს, არ იცოდა, რით დაეწყო. მაგრამ რომც ეკითხა, ტომი უამრავ აბდაუბდას ეტყოდა მზარდ შემოსავალთან წმინდა შემოსავლის მიმართების, ხარჯთაღრიცხვასთან დებეტის სალდოს მიმართების, წლიური ექვსი პროცენტისგან მიღებული შემოსავლის შესახებ, რომელიც გროვდებოდა გადასახადის გადახდის თარიღიდან დაწყებული მის დაფარვამდე ნებისმიერი ბალანსით, რომელშიც აისახებოდა თავდაპირველი შემოსავლის გადასახადი. ამ ყველაფერს შეუვალი კილოთი ამბობდა და მისი შეჩერება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ტანკ „შერმანისა“. ჯერჯერობით არავის დაუჟინია, მოვალ და პირადად დაგელაპარაკებით, რათა მეტი შევიტყოო. მისტერ რედინგტონმაც უკან დაიხია. ტომი ამას მიხვდა, როდესაც თანამოსაუბრე დიდი ხნით გაჩუმდა.

– კარგი, – თქვა სასოწარკვეთილმა მისტერ რედინგტონმა. – ხვალ წავიკითხავ თქვენს შეტყობინებას, როცა მივიღებ.

– ასე იყოს, მისტერ რედინგტონ, – მიუგო ტომმა და ყურმილი დაკიდა.

ტომი ცოტა ხანს უძრავად იჯდა, გამხდარ ხელებს მუხლებს უჭერდა და ხითხითებდა. მერე წამოხტა, ბობის საბეჭდი მანქანა შეინახა, ბაცი წაბლისფერი თმა სარკის წინ საგულდაგულოდ დაივარცხნა და „რეიდიო-სიტისკენ“ გაეშურა.